



თანამედროვე ცეკვის ტექნიკის შემსწავლელი კურსი

ზოგადი აღწერა

სიახლითა და სიცოცხლით სავსე თანამედროვე ცეკვის გაკვეთილები მოსწავლეებს ტრადიციული ფორმებით დადგენილი საზღვრების გაფართოების შესაძლებლობას აძლევს. გაკვეთილები ტარდება, როგორც დამწყები, ისე გამოცდილი მოცეკვავეებისათვის. თანამედროვე ცეკვა იდეალურია ყველასთვის.

შესანიშნავია დამწყები მოცეკვავეებისათვის რადგან ანვითარეს სხეულის სწორად მართვის უნარს, რისი წყალობითაც ახალი მოძრაობების სწავლა უფრო იოლი და უსაფრთხოა.

თანამედროვე ცეკვის სხვადასხვა სტილი ხაზს უსვამს იმას, რომ მოძრაობა ადვილია, როდესაც ადამიანის სხეული კარგად მომზადებულია და ადამიანის ბუნებრივ უნარებსა და ენერჯიას იყენებს.

ორგანული, მარტივი მოთელვა ხელს უწყობს ძალის განვითარებას, ხოლო სხეულის ჯანსაღი მართვის უნარი ცეკვის ამოცანების შესრულების წინაპირობაა. გაკვეთილები მიმართულია წონის, ენერჯიის, რიტმისა და იმპულსების ქორეოგრაფიაში გამოყენებაზე.

ჩართე გონება, სხეული, არტისტული სულისკვეთება და შემოგვიერთდი თანამედროვე ცეკვის გაკვეთილებზე!

თანამედროვე ცეკვის ტექნიკის შემსწავლელი კურსი

საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი:

მარინა ალექსიძე - გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტის“ დასის მმართველი-მთავარი ბალეტმამხრე

<http://tbilisiballet.ge/geo/team/creative-group/7>

კურსის აღწერა

კურსი მოიცავს სწავლების სამ წელიწადს:

- პირველი დონე
 - მეორე დონე
 - მესამე დონე
- ✓ კურსი შესანიშნავია მათთვის, ვისაც არასდროს ჰქონია თანამედროვე ცეკვის გამოცდილება. მისი ძირითადი მიზანი თანამედროვე ცეკვის ტექნიკის გააზრებაა. ამ კურსის ფარგლებში შეისწავლება თანამედროვე ცეკვის ტექნიკის საფუძვლები - სხეულის სწორი მართვა, კოორდინაციის და მუსიკალობის განვითარება.
 - ✓ კურსი განკუთვნილია მათთვისაც, ვისაც თანამედროვე ცეკვაში გარკვეული გამოცდილება აქვს და სურს უნარების გაუმჯობესება. არსებულ საფუძველს კურსის განმავლობაში ემატება ტექნიკური ილეთების შესწავლა, კოორდინაციის, მუსიკალობის გაუმჯობესება და შემოქმედებითი იმპროვიზაციის განვითარება.
 - ✓ სწავლების მეორე და მესამე დონეზე ტექნიკური მასალა თანდათანობით რთულდება, აგრეთვე ვითარდება საშემსრულებლო მიმართულება და არტისტიზმი.
 - ✓ სწავლების მეორე ან მესამე დონეზე, გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტის“ სამხატვრო ხელმძღვანელის, მარიამ ალექსიძის გადაწყვეტილებით, მის მიერ შერჩეულ სტუდენტს (სტუდენტებს)

ემლევა შესაძლებლობა დასის პროექტებსა თუ წარმოდგენებში სასცენო/სამშემსრულებლო პრაქტიკის გავლის.

- ✓ სწავლების მეორე ან მესამე დონეზე, გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტის“ სამხატვრო ხელმძღვანელის მარიამ ალექსიძის გადაწყვეტილებით, მის მიერ შერჩეულ გამორჩეულ სტუდენტს (სტუდენტებს) ეძლევა შესაძლებლობა ოფიციალურად გახდეს დასის პრაქტიკანტი და ჩაერთოს დასის შემოქმედებით და საგანმანათლებლო პროცესში.

საჭირო მომზადება:

თანამედროვე ცეკვის ტექნიკის შემსწავლელი კურსის გავლის მსურველებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ 2 წლიანი მომზადება შემდეგ დისციპლინებში: კლასიკური ბალეტი; ქართული ცეკვა; სამეჯლისო ცეკვები; სპორტული და ურბანული ცეკვები; მხატვრული ტანვარჯიში და სხვ.

ასაკი : 13 წლიდან 30 წლამდე.

კურსის ხანგრძლივობა: სამი დონე - 3 სასწავლო წელი

თითოეული დონე - 10 თვე

კლასების რაოდენობა: კვირაში 2 გაკვეთილი

კლასის ხანგრძლივობა: 60 წუთი

კლასების ჩატარების დღეები და დაწყების დრო: ცვალეზადია და ზუსტდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

სწავლების საფასური: 8 გაკვეთილი - ცვალეზადია და ზუსტდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

ყურადღება: პირველი გაკვეთილი საჩუქრად და საცდელად! გაგრძელების შემთხვევაში აუცილებელია გადაიხადოთ სწავლების საფასური დადგენილი გრაფიკის მიხედვით.

ყურადღება: თქვენი მიზეზით გაცდენილი გაკვეთილები არ ანაზღაურდება.

კლასების ჩატარების ადგილი:

გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტის“ სამუშაო სივრცე.

ჩაცმულობა კლასზე: ტანზე - თავისუფალი ჩაცმულობა; ფეხზე - წინდა

ყურადღება: გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კურსზე დასწრების სურვილის შემთხვევაში სავალდებულოა რეგისტრაციის გავლა.

სარეგისტრაციო ფორმა შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ვებ გვერდიდან <http://tbilisiballet.ge/geo/education-projects/>

შევსებული სარეგისტრაციო ფორმა გთხოვთ გამოაგზავნოთ ელ.ფოსტაზე: tbilisiballet@gmail.com

სერტიფიკატი:

სასწავლო წლის განმავლობაში დაიგეგმება ორი საჩვენებელი-შემაჯამებელი გაკვეთილი, რომელსაც დაესწრება საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი - მარინა ალექსიძე, დასის სამხატვრო ხელმძღვანელი - მარიამ ალექსიძე და პედაგოგ-რეპეტიტორი - ქეთევან მუხაშავერა.

ყოველი დონის დასრულებისას გაიცემა სერტიფიკატი.

სერტიფიკატი გაიცემა იმ სტუდენტებზე, ვინც რეგულარულად დაესწრება კლასებს და სრულად აითვისებს პედაგოგის მიერ შემოთავაზებულ მასალას.

გმადლობთ!

გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტი“

დასის სამხატვრო ხელმძღვანელი

მარიამ ალექსიძე